საკონკურსო პირობები

პრიორიტეტი 4 ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება

ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

2020-2022

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2020 წ.

I. ინფორმაცია კონკურსის შესახებ

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისია (შემდგომში კომისია) 2020 წლის 19 ივნისიდან აცხადებს საგრანტო კონკურსს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ (შემდგომში - სრიგპ) განსახორციელებლად. საკონკურსო პირობები მოწონებულია საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ.

კონკურსის გამოცხადების თარიღი	19.06.2020
კონკურსში განაცხადების წარდგენის ვადა	19.06.2020 – 26.06.2020
პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი	29.06.2020 - 16.07.2020
კონკურსის ჩატარების პროცედურა	ერთეტაპიანი
სრული საპროექტო განაცხადების წარდგენა	სრული საპროექტო განაცხადი წარედგინება შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში, საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის საშუალებით
სრიგპ-ის პრიორიტეტი და ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც ცხადდება კონკურსი	მე-4 პრიორიტეტის „ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება“ - 4.2 ღონისძიება „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა“
კონკურსით დასაფინანსებელი პროექტების სახეობები	• ბიზნესთან ან სხვა ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება; • მცირე ზომის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება (რომლებიც მოქალაქეებსა და ტურისტებს ემსახურება, მათ შორის რეკრეაციული ზონების ორგანიზება/რეაბილიტაცია, ქუჩები, ტროტუარები, პარკირების ადგილები, შადრევნები, სკვერები, ძეგლები, ბავშვებისთვის სპორტული მოედანი, სპორტული ობიექტები); • კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების

	მშენებლობა/რეაბილიტაცია • ტურისტული ან სხვა სახის მომსახურებების შეთავაზების მიზნით სახელმწიფო შენობების განახლება • ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა • ადგილობრივი გზების (და თანმხლები ინფრასტრუქტურის) გაუმჯობესება, რაც ადგილობრივ ბიზნესებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს • მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის უზრუნველმყოფი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზების გაყვანა/მონტაჟისთვის საჭირო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობების, მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხების, ღარების (სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია) მოწყობა • ადგილობრივი ბიზნესის ხელშემწყობი სხვა ტიპის ინფრასტრუქტურის განვითარება
გრანტის მიმღები	4 საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტები
გეოგრაფიული დაფარვა	4 საპილოტე რეგიონის დასახლებები
მოთხოვნილი დოკუმენტები	• შევსებული განაცხადის ფორმა (იხილეთ დანართი №1 და დანართი №2) • საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით და საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი • საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების შესახებ; • ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი
მოთხოვნილი მინიმალური თანადაფინანსება	0 %
მოთხოვნილი გრანტის მინიმალური მოცულობა (ლარი)	100,000 ლარი
მოთხოვნილი გრანტის მაქსიმალური მოცულობა (ლარი)	შესაბამის რეგიონში პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი მაქსიმალური ბიუჯეტის ოდენობა

კონკურსის ფარგლებში გასაცემი გრანტების მთლიანი მოცულობა (ლარი)	5,000,000
შეფასება	იხილეთ დანართი №3

გრანტების გაცემის დეტალური პირობები

II. ზოგადი ინფორმაცია

1. სამართლებრივი საფუძველი

კონკურსი გამოცხადებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №628 დადგენილების „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ და 2020 წლის 27 მარტის № 200 დადგენილების „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.

2. ზოგადი ინფორმაცია

სრიგპ წარმოადგენს ევროკავშირის თანამედროვე მიდგომების მიხედვით შემუშავებულ ინტეგრირებულ რეგიონული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტს, რომელიც ხორციელდება „2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში საპილოტე რეგიონების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 აგვისტოს №1713 განკარგულებით განსაზღვრულ 4 საპილოტე რეგიონში (შემდგომში – საპილოტე რეგიონები) და მიზნად ისახავს ხელსაყრელი გარემოს შექმნას და დაბალანსებულ მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ინიციატივების საშუალებით.

აღნიშნული მიზნის რეალიზება მოხდება სხვადასხვა ტერიტორიებსა და სექტორებში განვითარების ფაქტორებში ინვესტიციით, რომელიც განხორციელდება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა: წარმოება, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ადამიანური კაპიტალისა და საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხი. ინვესტიციის განხორციელება უნდა მოხდეს შერჩევითი გზით - ფინანსური დახმარება კონცენტრირებული იქნება იმ ტერიტორიებსა და სექტორებში, რომელთაც კონკრეტულ რეგიონებში პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის გაზრდის ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნიათ. შეზღუდული რესურსებისა და განხორციელების ხანმოკლე პერიოდის (3 წელი) გათვალისწინებით, სრიგპ კონცენტრირდება შეზღუდული რაოდენობით განსაზღვრულ, რეგიონის სპეციფიკური საჭიროებების გადაჭრასა და პოტენციალის ათვისებაზე.

სრიგპ ხელს შეუწყობს საქართველოს მასშტაბით წარმოების მოწინავე დარგებში ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრას, ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის

განვითარებას, ექსპორტის გაზრდის მიზნით მოქმედებების განსაზღვრა-შემუშავებას (მაგ. რეგიონში ახალი ნიშის მოძებნის გზით), ადგილობრივი რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებას, აგრეთვე ინვესტიციების განხორციელებას განვითარების ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა, განათლება, უნარები, კვლევა-განვითარება და ინოვაცია, რომელთაც უდიდესი გავლენა აქვთ კონკრეტული რეგიონების კონკურენტუნარიანობასა და მოსახლეობის შემოსავლებზე. გარდა ამისა საპილოტე რეგიონებში კვლავ საჭიროება არსებობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ინვესტიციები სათანადო ინფრასტრუქტურისა და გაუმჯობესებული ხარისხის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, სრიგპ ითვალისწინებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებისა და მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც მიზნად ისახავს გარკვეული განსახორციელებელი ამოცანების ადგილობრივ დონეზე ეტაპობრივ დელეგირებას, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. საპილოტე პროგრამის განხორციელების პროცესში მიღებული გამოცდილება გამოყენებული იქნება სხვა რეგიონების განვითარების პროგრამებში.

სრიგპ-ის ღონისძიებები კონცენტრირებული იქნება ხუთ შეთავაზებულ პრიორიტეტულ მიმართულებაზე:

1. ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე;
2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ინოვაციების ხელშეწყობა;
4. ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება;
5. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური დახმარება და შესაძლებლობების განვითარება.

3. სრიგპ-ის პრიორიტეტი 4-ის და ღონისძიება 4.2.-ს მიზანი

სრიგპ-ის პრიორიტეტი 4-ის ამოცანაა **ახალი ეკონომიკური აქტივობის სტიმულირების მიზნით ტრადიციული ადგილობრივი პროდუქციის შენარჩუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება და ადგილობრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.**

პრიორიტეტი განხორციელდება სამი ღონისძიების მეშვეობით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებულ აქტივობებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების გაზრდისთვის:

- **ადგილობრივი ტრადიციული ხელნაკეთებისა და პროდუქციის შენარჩუნებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა.** აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ტრადიციული რეწვისა და პროდუქციის შენარჩუნებასა და გაყიდვას და შერჩეულ ტერიტორიებზე ადგილობრივ მოსახლეობას დაეხმარება ახალი სახის არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში, რაც მათ დამატებით შემოსავალს მოუტანს.

- **ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა.** აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ცხოვრების იმ ელემენტების მოდერნიზებასა და განვითარებას, რომლებიც აუცილებელია რეგიონის მიმზიდველობის გაზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის, რაც მოიცავს წყალმომარაგებისა და სანიტარული მომსახურებით უზრუნველყოფას.
- **ადგილობრივი საჯარო მომსახურების ხარისხისა და მიწოდების გაუმჯობესება.** აღნიშნული ღონისძიება მუნიციპალიტეტებს დაეხმარება, გააუმჯობესონ ადგილობრივი სერვისების ხარისხი სოციალური ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სერვისების დაფინანსების მეშვეობით, აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) აპლიკაციებისა და გადაწყვეტილებების განხორციელების გზით.

ღონისძიება 4.2 - ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის“ - მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის, ტურისტული პროდუქტებისა და შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით დაფინანსდება სხვადასხვა სახის ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

ღონისძიების განხორციელების მოსალოდნელი შედეგები:

- ბიზნესისთვის რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;
- ვიზიტორებისათვის რეგიონის მიმზიდველობის ზრდა;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის მდგომარეობის გაუმჯობესება

გრძელვადიანი პერსპექტივით, აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, საჯარო მომსახურეობის ხარისხის გაზრდას და რეგიონში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები პრიორიტეტებისთვის

ამოცანა	მოსალოდნელი შედეგები	შედეგის ინდიკატორები	საბაზისო (2017)	სამიზნეები (2022 წლის ბოლო)
ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების მიზნით ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესება	• ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები • გაუმჯობესებული ცხოვრების დონე • ბიზნესის წარმოების გაზრდილი შესაძლებლობები	მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების ზრდა 4 რეგიონში[1]	288.4	მინიმუმ 15%
		შინამეურნეობების წილი, რომლებსაც წვდომა აქვთ სახლში შეყვანილ წყლის სისტემასთან, (%) 4 რეგიონის საშუალო	45.6	55
		აქტიური ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის ზრდა 4 რეგიონში	37945	მინიმუმ 10%

[1] სტატისტიკური მონაცემები გურიის შესახებ გაერთიანებულია საქსტატის კატეგორიაში „დანარჩენი რეგიონები“

წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები თანხვედრაში უნდა იყოს ღონისძიებების მიზნებთან, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტებთან.

4. დაფინანსება

კონკურსის ფარგლებში 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა შეადგენს 5 მილიონ ლარს.

პროექტების დასაფინანსებლად, რეგიონების მიხედვით მაქსიმალური ბიუჯეტი შეადგენს:

რეგიონი	**გურია**	**იმერეთი**	**კახეთი**	**რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**
მაქსიმალური დაფინანსება (ლარი)	701,000	2,188,000	1,782,000	329,000

III. ინფორმაცია გრანტის გაცემის შესახებ

5. გრანტის მიმღები

კონკურსის ფარგლებში გრანტის მიმღები შეიძლება იყოს 4 საპილოტე რეგიონის მუნიციპალიტეტები:

- თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი
- ჭიათურის მუნიციპალიტეტი
- ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
- ბაღდათის მუნიციპალიტეტი
- ვანის მუნიციპალიტეტი
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი
- სამტრედიის მუნიციპალიტეტი
- საჩხერის მუნიციპალიტეტი
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
- ხონის მუნიციპალიტეტი
- ახმეტის მუნიციპალიტეტი
- გურჯაანის მუნიციპალიტეტი
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი
- თელავის მუნიციპალიტეტი
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
- სიღნაღის მუნიციპალიტეტი
- ყვარლის მუნიციპალიტეტი
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
- ლენტეხის მუნიციპალიტეტი
- ონის მუნიციპალიტეტი
- ცაგერის მუნიციპალიტეტი
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტები განაცხადებს წარადგენენ მხოლოდ იმ სახელმწიფო რწმუნებულის - რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს წარმდგენი მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს - ადმინისტრაციაში. მუნიციპალიტეტები ასევე, უფლებამოსილნი არიან წარადგინონ ერთობლივი პროექტი, რა შემთხვევაშიც უნდა დასახელდეს ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი.

6. დასაფინანსებელი პროექტის ხარჯები

კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა სახის ხარჯი, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისა:

- სრული საპროექტო განაცხადის მომზადება, მათ შორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, საჭიროების შემთხვევაში, საექსპერტო შეფასების მომსახურება
- ადგილობრივი განვითარების დაგეგმვის დოკუმენტის მომზადება
- შენობა-ნაგებობების შეძენა

7. პროექტის ხანგრძლივობა

კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა დასრულდეს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

8. პროექტის შეფასება და შერჩევა

პროექტის შეფასება და შერჩევა ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების შესაბამისად. (იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/4838500?publication=0)

9. ხილვადობის ღონისძიებები

სრიგპ-ის ფარგლებში განხორციელებული პროექტების ობიექტებზე განთავსებული უნდა იყოს სრიგპ-ის ლოგო, საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით აღნიშვნა და მოკლე ინფორმაცია თანადაფინანსების თაობაზე. დაფინანსების მიმღებმა მხარემ ასევე უნდა

შეასრულოს ვიზუალური გამოსახვის მეთოდური რეკომენდაციები ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10. ხარვეზის აღმოფხვრის და გასაჩივრების პროცედურა

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შესაბამისი სამსახურის მიერ დანართი N3-ით (ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება) დადგენილ პირობებთან შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, ხარვეზის გამოსასწორებლად განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. განსაზღვრული ვადის დარღვევის ან/და განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის არ გამოსწორების შემთხვევაში პროექტი არ განიხილება.

თუ დავის მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მხარეს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დავა განიხილონ სასამართლო წესით.

11. პროექტების მონიტორინგი და ანგარიშგება

სამინისტრო უზრუნველყოფს სრიგპ-ის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შესაბამისი კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელებას სრიგპ-ის ინდიკატორების საფუძველზე, უფლებამოსილების ფარგლებში. კოორდინაცია და მონიტორინგი განხორციელდება პერიოდულად, რომელიც შექმნის წლიური ანგარიშის შემუშავების საფუძველს.
გრანტის მიმღებები ვალდებულები არიან შეავსონ მონიტორინგის და საინფორმაციო ფორმები.

დანართი 1. საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის ფორმა

1. ზოგადი ინფორმაცია

საპროექტო წინადადების სახელწოდება	*შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მოკლე სახელწოდება, მის შინაარსზე მითითებით:*
სრიგპ-თან შესაბამისობა	*გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი პროექტი :*
საპროექტო წინადადების წარმდგენი	*გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენი:*
	ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი:
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი:
	გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა:
პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	*სახელი და გვარი:*
	თანამდებობა:
	ტელეფონის ნომერი:
	ელ.ფოსტა:
განხორციელების ადგილი	*რეგიონი:*
	მუნიციპალიტეტი:
	ქალაქი, დაბა, სოფელი:
სამიზნე ჯგუფი/ ბენეფიციარები	*გთხოვთ განსაზღვრეთ პროექტის სამიზნე ჯგუფი/საბოლოო ბენეფიციარები (*სამიზნე ჯგუფები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც იქნებიან პროექტის მყისიერი შედეგის პირდაპირი მიმღებნი. პროექტის სამიზნე ჯგუფების ჩამოთვლისას, გთხოვთ მიუთითოთ რაოდენობრივი მახასიათებლები)*:*
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	*გთხოვთ, მიუთითოთ განსახორციელებლად შემოთავაზებული პროექტის სავარაუდო ღირებულება:*
თანადაფინანსების ოდენობა	*გთხოვთ, მიუთითეთ პროექტის ღირებულების საკუთარი რესურსებიდან თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი* (თანადაფინანსება აღნიშნულ კონკურსში არ არის სავალდებულო, თუმცა განმცხადებლისა და თანაგანმცხადებლების მხრიდან ფინანსური კონტრიბუციის შემთხვევაში

	პროექტი მიიღებს დამატებით ქულებს, ტექნიკური ქულების მინიჭების ფორმის შესაბამისად. საკუთარი რესურსები არის ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობების სახით მიღებული ფინანსური სახსრები, როგორც ეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის 1-ლი ნაწილითაა განსაზღვრული)*:*
პროექტის განხორციელების დრო	*გთხოვთ, მიუთითეთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):*
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):
	გთხოვთ მიუთითეთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების აქტი):

2. პროექტის აღწერა და დასაბუთება

პროექტის მიზანი/მიზნებია	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროექტის მიზნები. მიუთითეთ სრიგპ-ს შესაბამის ღონისძიებისა და გამოცხადებული კონკურსის მიზნებთან შესაბამისობა (*სრიგპ-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს უნდა ჰქონდეს 2 ტიპის მიზნები: ა) სტრატეგიული მიზნები - ესაა პროექტის დაგეგმილი კონტრიბუცია სრიგპ-ის პრიორიტეტების განხორციელებაში, ისევე როგორც პროექტის შესაძლო წვლილი მუნიციპალურ/რეგიონულ დონეზე არსებული შესაბამის დოკუმენტებში (მაგ. მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი, რეგიონის განვითარების სტრატეგია, ა.შ.) მოცემული პრიორიტეტების მიღწევაში; ბ) კონკრეტული მიზანი - პროექტის მიერ („პროექტის აღწერა/დასაბუთების“ ველში) იდენტიფიცირებული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი პირობის მიღწევის განაცხადი. კონკრეტული მიზანი მიიღწევა პროექტის პროდუქტებისა და მყისიერი შედეგების მეშვეობით. რეკომენდებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის სტრატეგიული და კონკრეტული მიზნების, მათი შედეგების, ინდიკატორების და ვარაუდების/რისკების სწორი და ეფექტური ფორმულირებისთვის)
მოსალოდნელი შედეგები	*გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია.* (წარმოდგენილი უნდა იყოს ორი ტიპის შედეგი: ა) გრძელვადიანი შედეგები (საბოლოო შედეგები) - ცვლილება, რომელიც პროექტს მოაქვს სამიზნე ჯგუფებსთვის მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის სახით პროექტის დასასრულს და ამ ცვლილებას აქვს

	პოტენციალი, განჭვრეტად მომავალში დადებითი გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე. ბ) მყისიერი შედეგები - განხორციელების პროცესში ან პროექტის ბოლოს მიღებული პროდუქტი/ინფრასტრუქტურა/ცოდნა, რომელიც ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას. შედეგები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი, დროში განსაზღვრული. რეკომენდებულია ლოგიკური ჩარჩოს გამოყენება პროექტის შედეგების სწორად ფორმულირებისთვის). • …. • …. • ….
პროექტის აღწერა / დასაბუთება	*გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.* *გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.* *დაასახელეთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:*
ძირითადი აქტივობები	*გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:* (აღნიშნულ ველში მითითებული ყველა აქტივობა ასახული უნდა იყოს დანართი 2 – „აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი“-ში)
ინდიკატორები და მიზნები	*გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტი ინდიკატორები და მათი შესაბამისი სამიზნეები, იმ ინდიკატორებზე და სამიზნეებზე მითითებით, რომლებიც გამოყენებულია სრიგპ-ს შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში:* *საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:* (ველი უნდა მოიცავდეს საბოლოო შედეგის ინდიკატორებს, რომელიც მიმართული იქნება პროექტის საბოლოო შედეგებზე და უნდა ზომავდეს მათ შესაბამისობას სრიგპ-ის მიზნებთან და პრიორიტეტებთან. აგრეთვე, აღნიშნული ინდიკატორები უნდა ადასტურებდეს პროექტის წარმატებას დაგეგმილი შედეგების მიღწევაში ნათლად ჩამოყალიბებული სამიზნე ნიშნულების გამოყენებით, რომლებიც,

	როგორც წესი, მოცემულია პროცენტული მაჩვენებლის ან აბსოლუტური რიცხვების სახით)
	*მყისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი: (*ველი უნდა მოიცავდეს მყისიერი შედეგის ინდიკატორებს, რომელიც მიმართული იქნება პროექტის ხელშესახებ პროდუქტებზე (მყარი ინფრასტრუქტურა კილომეტრებში/ერთეულებში, სახელმძღვანელო, სასწავლო სესია, გადამზადებულ ადამიანთა რიცხვი, სამუშაო შეხვედრათა რაოდენობა, ახალი ბიზნესი, და ა.შ.) და უპასუხებს პროექტის კონკრეტულ მიზანს. აღნიშნული ინდიკატორი ადასტურებს პროექტის პროდუქტის შესაბამისობას მის დაგეგმილ რაოდენობასა და ხარისხთან)
სხვა პროექტებთან ურთიერთშეთავსება დობა	*გთხოვთ, მიუთითოთ ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.* *გთხოვთ, აღწეროთ არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა განხორციელებულ, მიმდინარე ან დაგეგმილ პროექტებთან, ასევე არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:*
პროექტის მდგრადობა	*გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინასების წყარო(ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):*

3. განხორციელება და დაფინანსება

პროექტის მომზადების სტატუსი	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მომზადებულია თუ არა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა* (აღნიშნული ველის შევსებამდე დარწმუნდით, რომ გაქვთ: ა) პროექტის ტექნიკური გეგმა (მყარი ინფრასტრუქტურული პროექტის შემთხვევაში); ბ) დეტალურად ჩაშლილი ბიუჯეტი; გ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების კვლევა (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ შემთხვევებში) დ) ექსპერტის ოფიციალური დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესახებ (თუ მოთხოვნილია); ე) მოსახლეობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრის ჩანაწერები. მოკლედ აღწერეთ ზემოხსენებული დოკუმენტების შინაარსი და მიუთითეთ ინფორმაცია მათი შემუშავების პროცესზე. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენელის მიერ)

	გთხოვთ, მიუთითოთ არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე:
	პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება მოწონების თაობაზე, მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი, ა.შ.): (განაცხადის ფორმას თან დაურთეთ ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ჩამოთვალეთ მოცემულ ველში. მაგალითად, დანართი 1 - საპროექტო დოკუმენტი)
დროის განრიგი	*გთხოვთ მიუთითეთ პროექტი ერთწლიანია თუ მრავალწლიანი:*
	გთხოვთ მიუთითეთ კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების დაგეგმილი თარიღი (თვე):
	გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი:
	გთხოვთ, დანართ 2-ში წარმოადგინოთ განხორციელების დეტალური გეგმა აქტივობების დონეზე (გრანტის დიაგრამა):
პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი (ლარი)	*გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი თანადაფინანსება. არის თუ არა ეს ფინანსური სახსრები უკვე გამოყოფილი გრანტის მიმღების ბიუჯეტში?* *გთხოვთ, შეავსოთ დანართი 2 - აქტივობების ბიუჯეტი:*
	პროექტის მთლიანი ღირებულება:
	მოთხოვნილი გრანტის მთლიანი ღირებულება:
	თანადაფინანსების ოდენობა:
	სხვა წყაროებიდან დაფინანსების ოდენობა:
ხარჯების კატეგორიები	*გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია დანახარჯების კატეგორიების შესახებ, დანართი N2-ის გამოყენებით:*
რისკების მართვა	*გთხოვთ, აღწეროთ ის პოტენციური შიდა და გარე რისკები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროექტის განხორციელებაზე:*
	გთხოვთ, აღწეროთ ამ რისკების შემცირების/მართვის ღონისძიებები:

4. კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა

შესაბამისობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან	*გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჭრილში თანასწორ მოპყრობაზე:* (დაასაბუთეთ თქვენი პროექტის შესაბამსიობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან. ჩამოთვალეთ პროექტის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანასწორობას. (მაგალითად, შშმ პირებზე, ხანდაზმულებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, და ა.შ.))
გარემოზე ზემოქმედება	*გთხოვთ, აღწეროთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტების განხორციელება გარემოზე:* (განაცხადის ფორმას თან დაურთეთ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი (საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილ შემთხვევებში))
პარტნიორობის პრინციპის განხორციელება	*გთხოვთ, აღწეროთ პროექტის ფარგლებში როგორ იქნება დაცული პარტნიორობის პრინციპი, როგორ არიან პარტნიორები ჩართულნი პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში:* (იგულისხმება მონაწილეობითი მიდგომა (მაგალითად, ინფორმაცია პროექტის განაცხადზე გამართული საჯარო სხდომების თაობაზე თარიღის და მონაწილეთა რაოდენობის მითითებით, შეხვედრები ადგილობრივ აქტორებთან, კერძო სექტორთან, ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან, სათემო ორგანიზაციებთან, სამეზობლო ამხანაგობებთან და ა.შ.

თარიღი:
ხელმოწერა (მთავარი) განმცხადებლის სახელით:

დანართი 2. აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი

აქტივობების ბიუჯეტი

აქტივობა	განხორციელების დაწყება	განხორციელების დასრულება	საერთო ღირებულება ლარებში	მონაწილეობა ლარებში			სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მოცულობა პროცენტებში პროექტის საერთო ღირებულებასთან მიმართებაში	თუ პროექტი მრავალწლიანია, გთხოვთ, წარმოადგინოთ სავარაუდო ჩაშლა წლების მიხედვით			
				გრანტი სრიგპ-დან	საკუთარი სახსრები	სხვა დაფინანსება		2020	2021	2022	2023
აქტივობა 1											
1.1											
1.2											
1.3											
....											
აქტივობა 2											
2.1											
2.2											
2.3											
....											
აქტივობა X											
x.1											
x.2											
x.3											
....											
სულ											

დროის განრიგი

აქტივობა	განხორციელების პერიოდი თვეებში. გთხოვთ, მიუთითეთ კონკრეტული თარიღები																				
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	…	….
აქტივობა 1																					
ქვეაქტივობა 1.1																					
1.2																					
1.3																					
....																					
1.5																					
აქტივობა 2																					
ქვეაქტივობა 2.1																					
2.2																					
2.3																					
....																					
2.5																					
აქტივობა 3																					
ქვეაქტივობა 3.1																					
3.2																					
3.3																					
....																					
სულ																					

დანართი 3. შეფასების კრიტერიუმები

<u>წარდგენილი პროექტი, რომელიც ვერ გაივლის ადმინისტრაციულ და შესაბამისობის შემოწმებას არ განიხილება.</u>

<u>ქულების მინიჭების ტექნიკური სახელმძღვანელო (შეფასების კრიტერიუმები) / ქულების მინიჭების პრინციპები:</u>

0 = **მიუღებელი** ან იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტური მტკიცებულება ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმს ან ვერ ხერხდება მისი შეფასება ინფორმაციის არარსებობის ან არასრული ინფორმაციის გამო.

1 = **ძალიან ცუდი**, იმ შემთხვევაში, როდესაც კრიტერიუმი <u>არასათანადოდ სრულდება</u> ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები.

2 = **ცუდი**, იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულებები მხოლოდ <u>ზოგადად შეესაბამება კრიტერიუმს,</u> ანუ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.

3 = **სათანადო**, იმ შემთხვევაში, როცა <u>მტკიცებულებები კრიტერიუმს კარგად აკმაყოფილებს</u>, მაგრამ არსებობს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები ან/და რისკები.

4 = **კარგი**, <u>იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება კრიტერიუმს ძალიან კარგად აკმაყოფილებს</u>, მაგრამ არსებობს გარკვეული ნაკლოვანი მხარეები.

5 = **ძალიან კარგი**, <u>იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება აკმაყოფილებს კრიტერიუმის ყველა შესაბამის ასპექტს</u> და ნაკლოვანი მხარე არ არსებობს ან უმნიშვნელოა.

I. ერთეტაპიანი პროცედურა

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება

განაცხადი მოთხოვნილი ფორმატით არის წარდგენილი	☐
გამოცხადებული კონკურსით მოთხოვნილი დოკუმენტები თანდართულია	☐
არსებობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონებისა და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	☐
განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ	☐
პროექტი ხორციელდება უფლებამოსილ რეგიონში	☐
პროექტი ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	☐
პროექტის ხანგრძლივობა არ არის მოთხოვნილზე ნაკლები ან მეტი	☐
პროექტი გარემოს დაცვის თვალსაზრისით ნეიტრალურია ან დადებითია (უარყოფითი გავლენის შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი დასაბუთება)	☐
პროექტი იცავს ანტიდისკრიმინაციის პრინციპს	☐
პროექტის შინაარსი შეესაბამება ღონისძიების/ქვე-ღონისძიების გამოცხადებული კონკურსის პირობებს	☐
საკონკურსო პირობებით მოთხოვნილი დოკუმენტები წარდგენილი და ქმედითია (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რეგენერაციის გეგმა, ა.შ.)	☐

ტექნიკური ქულების მინიჭება

პროექტის შესაბამისობა ღონისძიების/ქვეღონისძიების მიზანთან/მიზნებთან	**40**
გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დასაბუთებულია[2]	5 x 2
პროგრამისთვის/ღონისძიებისთვის განსაზღვრულ კონკრეტულ ინდიკატორებზე პროექტის გავლენის ხარისხი[3]	5
კავშირი პროექტის განხორციელებასა და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს შორის[4]	5 x 2
დადასტურებული კავშირი სხვა პროექტებთან ან/და სრიგპ-ის სხვა ღონისძიებებთან[5]	5 x 2
პროექტის შესაბამისობა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმით განსაზღვრული პრობლემების მოგვარებასა და პოტენციალის გამოყენებაზე[6]	5
პროექტის შედგენისა და განხორციელების მიდგომის ხარისხი	**35**
პრობლემის ანალიზის ხარისხი (მიზეზ-შედეგობრივი კავშირი)[7]	5 x 2
პრობლემებზე რეაგირების თანმიმდევრულობა[8]	5
პროექტის აქტივობების და საბოლოო შედეგების ურთიერთთავსებადობა[9]	5
პროექტის მოსალოდნელი მყისიერი და მოსალოდნელი შედეგების მაჩვენებლების სანდოობა[10]	5
დროის განრიგის გონივრულობა[11]	5

[2] პროექტი ამჟღავნებს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე დადებითი გავლენის მოხდენის მაქსიმალურ პოტენციალს

[3] უნდა შეფასდეს, თუ რა დონით შეიტანს პროექტი წვლილს სრიგპ-ის ღონისძიებების განხორციელებასა და შესაბამისი ინდიკატორების მიღწევაში. როგორც წესი, ეს შეფასება გამომდინარეობს „პროექტის აღწერა/დასაბუთებიდან“ (მაგალითად, ღონისძიება 4.2 ხელს უწყობს შემდეგს: ბიზნესის ბრუნვა, ვიზიტორთა რაოდენობა, ენერგიის ეფექტური გამოყენება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება; იმ შემთხვევაში თუ პროექტს გავლენა აქვს ერთზე მეტ ინდიკატორზე, იგი ავლენს უფრო მეტად ინტეგრირებულ ხასიათს და მას უფრო მაღალი ქულა უნდა მიენიჭოს)

[4] პროექტი უნდა აჩვენებდეს, რომ ის დროის მოცემულ მონაკვეთში ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის, დასაქმებისა და შემოსავლის ზრდას

[5] ყურადღება უნდა მიექცეს პროექტის მიზნების შესაბამისობას სრიგპ-ის ღონისძიებებთან. როგორც წესი, ეს შემოწმება გამომდინარეობს „პროექტის აღწერა/დასაბუთებიდან“ (ასევე, ღონისძიებისთვის 4.2, ასეთი შეიძლება იყოს ღონისძიება სრიგპ-ის ღონისძიება 4.1, 4.3 და სხვა.)

[6] უნდა შეფასდეს, თუ როგორ შეაქვს პროექტს წვლილი ადგილობრივი ეკონომიკური გეგმის მიზნების მიღწევაში

[7] უნდა დადგინდეს, რას ეფუძნება პროექტის ლოგიკა და სათანადოდ არის თუ არა წარმოდგენილი სრიგპ-ის მიზნებთან/ღონისძიებებთან შესაბამისობა; ეფუძნება თუ არა პროექტის დასაბუთება ფაქტებს და მათ სათანადო განსჯას; კონკრეტული მიზანი უზრუნველყოფს თუ არა სტრატეგიული მიზნების მიღწევას და რა არის ძირითადი დაშვება (ვარაუდი) პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის

[8] უნდა ჩანდეს პროექტის აქტივობები: როგორ პასუხობს პროექტში დასმული პრობლემების გადაჭრის მიზნებს; წარმოადგენს თუ არა მოვლენათა ლოგიკურ ჯაჭვს, რომელსაც პრობლემის გადაჭრამდე მივყავართ; რამდენად შეესაბამება პროექტის მყისიერ და საბოლოო შედეგებს

[9] უნდა შეფასდეს, როგორ მივყავართ პროექტის აქტივობებს მყისიერ შედეგებამდე და ეს უკანასკნელი როგორ უზრუნველყოფს პროექტის საბოლოო შედეგების მიღწევას

[10] უნდა შეფასდეს: რამდენად რეალისტურია პროექტის მყისიერი და საბოლოო შედეგები; რამდენად შეესაბამება პროექტის აქტივობები დასახულ შედეგებს; პროექტის საბოლოო შედეგების მიღწევადობა და შესაძლო გავლენა (სადაც შესაძლებელია). კარგად ფორმულირებული ლოგიკური ჯაჭვი უნდა ხსნიდეს, თუ როგორ გარდაიქმნება პროექტის მყისიერი შედეგები საბოლოო შედეგებად, რომელთაც ექნებათ ფართო სოციალური და გეორგაფიული მასშტაბებით დადებითი გავლენის მოხდენის მაღალი პოტენციალი

[11] უნდა შეფასდეს, რამდენად რეალისტურია პროექტის აქტივობათა სრულად და ეფექტურად განხორციელება დროის მოცემულ პერიოდში; როგორ არის დროში განაწილებული სამუშაოს მოცულეობა. დროის განრიგი უნდა იყოს დეტალური, განხორციელებადი და შესაბამისი პროექტის აქტივობებთან

პროექტის შედეგების მდგრადობის დასაბუთება[12]	5
ბიუჯეტი და დანახარჯების ეფექტიანობა	**25**
ბიუჯეტის თანაზომადობა მიზანთან (დანახარჯებსა და შედეგებს შორის შეფარდება)	5 x 2
პროექტის აქტივობების ღირებულების სათანადო განფასება	5
თანადაფინანსების მოცულობა და თანადაფინანსების წყაროების სანდოობა	5 x 2
სულ	**100**

შეფასების შედეგი წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ფორმატში

ადმინისტრაციული და შესაბამისობის შემოწმება (დიახ/არა)	
ტექნიკური ქულა	
შემფასებლის რეკომენდაცია	*მოკლე განმარტება საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების, რეკომენდაციისა და წინასწარი შერჩევის თაობაზე:*[13]

[12] უნდა შეფასდეს პროექტის მყისიერი შედეგების მედეგობა (საექსპლუატაციო ვარგისიანობა. განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს) და პროექტის მყისიერი და საბოლოო შედეგების მდგრადობა (უნდა ჩანდეს, როგორ იქნება შენარჩუნებული პროექტის შედეგები პროექტის დასრულების შემდეგ და უზრუნველყოფილი შედეგების შენარჩუნებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერა)

[13] წარმოდგენილი საპროექტო წინადადების სრული განაცხადის შეფასების შემდეგ, შესაბამისი სამსახური ამზადებს განაცხადების ჩამონათვალს, სადაც წარმოდგენილია შემოწმების შედეგები და ქულები, დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციით.